ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი

24.08.2026 წელი
16:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ვერიკო კვირკველია, ირაკლი ცინცაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, გოჩა ჯანაშია და ტატო ურუშაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16 ივლისის N37 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 27 ივლისის N1685 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით, მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 (მილიონ ხუთასი ათასი) ლარი და მიიმართება ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაცული ტერიტორიებისკენ მიმავალი გზის მოწყობაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 78950 (სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი, სულ (პროექტის ღირებულებაა 3440405 ლარი) მიმდინარე წელს ასანაზღაურებელია 1578950 (მილიონ ხუთას სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი. ასევე სოციალური სამსახურის მიერ პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის წლის განვლილ პერიოდის ანალიზით (ათვისებულია 171000 ლარი) გამოიკვეთა, რომ აღნიშნული პროგრამის სრულად დასაფინანსებლად დამატებით საჭიროა (მიზნობრივი ტრანსფერი) 132000 (ას ოცდათორმეტი ათასი) ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართება 6600 ლარი.

ბის თანხმობის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის 2026 წლის 13 აგვისტოს ბ30.30262225001 ბრძანებით დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექცია", რომლის დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი, მათ შორის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე 25650 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევ ხარჯებზე 62350 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2000 ლარი.

მან ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა გაიზარდოს მერიის სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების მუხლი 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალური ინსპექციისა და მერიის სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს მერიის შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსების 105000 (ას ხუთი ათასი) ლარით შემცირების ხარჯზე. ასევე ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლის" საქონელი და მომსახურების მუხლის 7900 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 7900 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი - არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ მერიის ადმინისტრაციულ შენობაში აუცილებელია მოწესრიგდეს საპირფარეშო და ასევე აუცილებელია მოხდეს შენობის ადაპტირება შშმ პირთათვის.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №7

ქ. ლანჩხუთი 24.08.2026 წელი

2026 წლის 24 აგვისტოს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.08.2026 წელი
16:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	15 55	
2	ირაკლი ცინცაძე	15 55	
3	გიორგი ჩახვაძე	16 00	
4	სპარტაკ კვაჭაძე	არ ესწრებოდა	
5	ტატო ურუშაძე	15 55	
6	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	15 56	
8	ვერიკო კვირკველია	16 00	
9	გოჩა ჯანაშია	15 55	